დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილებით (სხდომა №14, 2.07.2008);

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი – კახაბერ ლორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია (შემდგომში - რედაქცია) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

2. რედაქცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.

3. რედაქცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. რედაქციის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. რედაქცია სარგებლობს შემოქმედებითი თავისუფლებითა და სარედაქციო დამოუკიდებლობით.

2. რედაქციის მიზანია საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის, საუნივერსიტეტო რეფორმის, უნივერსიტეტის მრავალმხრივი საქმიანობის

საინფორმაციო კამპანიის წარმოება და საუნივერსიტეტო საზოგადოების პოპულარიზაცია, რაც მოიცავს:

ა) საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შედეგად წამოჭრილი პრობლემური საკითხების, სწავლების ფორმებისა და მეთოდების დახვეწის კუთხით მიმდინარე პროცესების შეფასება-ანალიზს;

ბ) უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, ადმინისტრაციის, ფაკულტეტების საქმიანობის წარმოჩენას; მათი გადაწყვეტილებების გაშუქებასა და ანალიზს;

გ) უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშუქებას;

დ) უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებისა და ღონისძიებების (კონფერენციების, სიმპოზიუმების, იუბილეების, ბრიფინგების, პრეზენტაციების და ა.შ.) გაშუქებას;

ე) ახალი სასწავლო პროგრამებისა და ინიციატივების გაშუქებას;

ვ) უნივერსიტეტის მეცნიერულ და ინტელექტუალურ მონაპოვართა (სამეცნიერო კვლევებისა და შრომების) მოძიებასა და მათ პოპულარიზაციას, პრაქტიკაში მათი დანერგვისა და გამოყენების შესაძლებლობების გარკვევას.

ზ) უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების გაშუქებასა და ანალიზს;

თ) ბოლონიის პროცესის მიზნების განხორციელების პროცესში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიციებისა და როლის წარმოჩენას, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების გაშუქებასა და პოპულარიზაციას.

ი) პროფესორთა, მეცნიერ-მკვლევართა, წარმატებულ დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და ბაკალავრთა წარმოჩენასა და პოპულარიზაციას;

კ) ქვეყნისა და საზოგადოებისათვის მტკივნეულ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტის პროცესში (პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ პრობლემებზე) საუნივერსიტეტო საზოგადოებრივი პოზიციის გაშუქებას;

ლ) კულტურის სფეროში ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, სიახლეების წარმოჩენას;

მ) საზღვარგარეთის ქვეყნების საუნივერსიტეტო ცხოვრების წარმოჩენას, საგანმანათლებლო გამოცდილების გაზიარებას;

ზ) სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების გაშუქებას;

თ) უნივერსიტეტის საყოფაცხოვრებო, სამეურნეო პრობლემების წარმოჩენას;

ი) უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური მოძრაობების, დამოუკიდებელ სტუდენტთა საქმიანობის, მათი ინიციატივების, შემოქმედებითი პროცესების გაშუქებასა და ანალიზს;

კ) ქართული პრესის ფურცლებზე უნივერსიტეტის შესახებ დაწერილ სტატიებზე გამოხმაურებას.

3. რედაქციის ძირითადი მოვალეობაა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" გამოცემა და ამ პროცესთან დაკავშირებული საქმიანობა: ინფორმაციის მოძიება, გადამოწმება, მისი დამუშავება, ტექნიკურად გამართვა და გაზეთის რეალიზაცია.

4. რედაქციას უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს შემოქმედებითი თავისუფლებით;

ბ) უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მოითხოვოს და მიიღოს ყველა ინფორმაცია, თუ ის არ წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას;

გ) დაესწროს საუნივერსიტეტო სივრცეში სხდომებს;

დ) განიხილოს რედაქციაში შემოსული წერილები და გაზეთში მათი განთავსების შესახებ რედაქტორმა მიიღოს გადაწყვეტილება გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" ძირითადი მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით;

ე) მოითხოვოს ჟურნალისტის უფლებების დაცვა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

ვ) მოითხოვოს გაზეთის გამოცემის უზრუნველყოფის მიზნით საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა;

ზ) წარუდგინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებები გაზეთის რეალიზაციისა და რეკლამირებისათვის სათანადო პირობები შექმნის თაობაზე.

5. რედაქცია პასუხისმგებელია:

ა) მაღალპროფესიული და საინტერესო გაზეთის გამოცემაზე;

ბ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის რეკომენდაციების მხედველობაში მიღებაზე საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით;
გ) გაზეთის თვეში ორჯერ ან მეტჯერ გამოცემაზე, თუ არ არსებობს მისგან დამოუკიდებელი მიზეზები;
დ) „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ჟურნალისტის მოვალეობების შესრულებაზე;
ე) მისთვის გადაცემული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის გაფრთხილებაზე.

მუხლი 3. რედაქციის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. რედაქცია წარმოადგენს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურულ რგოლს, რომელსაც ხელმძღვანელობს რედაქტორი.

2. რედაქტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. რედაქტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მთავარი სპეციალისტი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

3. რედაქტორი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს რედაქციის საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
გ) განსაზღვრავს გაზეთის პოლიტიკასა და მიმართულებას;
დ) წარმართავს სარედაქციო კოლეგიის მუშაობას, განიხილავს და ამუშავებს კოლეგიის წევრთა ინიციატივებს;
ე) აყალიბებს სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს და წარმართავს მის საქმიანობას გაზეთის მომზადების პროცესში;
ვ) გაზეთის გამოსაცემად აყალიბებს ჟურნალისტთა სამუშაო გეგმას, რომელსაც წარუდგენს რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს;
ზ) სამუშაო გეგმის თანახმად დავალებებს აძლევს ჟურნალისტებს, თვალყურს ადევნებს თანამშრომელთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და აწარმოებს კონტროლს;

თ) აფიქსირებს პოზიციას ჟურნალისტების მიერ მომზადებული სტატიების რედაქტირების საჭიროების საკითხზე, სტატიებისათვის ეფექტური სათაურის მისადაგებაზე, თუმცა რედაქტორი პასუხს არ აგებს სტატიაში ჟურნალისტის მიერ დაუზუსტებელ ინფორმაციაზე;

ი) ამზადებს სტატიებს და პასუხისმგებელია მოპოვებული ინფორმაციის სიზუსტეზე;

კ) მუშაობს გაზეთის მაკეტზე;

ლ) აკონტროლებს გაზეთის დაკაბადონების პროცესს;

მ) ზრუნავს გაზეთის გავრცელებასა და მის რეკლამაზე;

ნ) აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან, პრეს-სამსახურთან და უზრუნველყოფს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაზეთში განთავსებას;

ო) აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან და უზრუნველყოფს მათგან მოწოდებული ყველა საჭირო ინფორმაციის გაზეთში განთავსებას;

პ) განიხილავს რედაქციაში შემოსულ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ბრძანებებს, დადგენილებებს და მათთან კონსულტაციის საფუძველზე განათავსებს აუცილებელ ოფიციალურ ინფორმაციას;

ჟ) უზრუნველყოფს გაზეთის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებას;

რ) პერიოდულად ისმენს რედაქციის თანამშრომელთა ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ს) სასწავლო სემესტრის განმავლობაში 2-ჯერ, უზრუნველყოფს სარედაქციო კოლეგიის სხდომის ჩატარებას, რომელზეც განიხილავს საუნივერსიტეტო პრობლემებს, რედკოლეგიის წევრთა ინიციატივებსა და წინადადებებს გაზეთის საინფორმაციო პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით;

ტ) უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს გაზეთის ყოველი ნომრის გამოსაცემად შემუშავებულ სამუშაო გეგმას და ითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს უნივერსიტეტის საერთო ინტერესების სასარგებლოდ;

უ) რედაქციასთან თანამშრომლობის მიზნით იწვევს ჟურნალისტიკის მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების მსურველ სტუდენტებს, რომელთაც აძლევს გაზეთის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროფესიონალურად მომზადებული სტატიების გაზეთში განთავსებას;

ფ) უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს რედაქციის შიდა სტრუქტურის, მუშაობის ორგანიზაციის, რედაქციის თანამშრომლების წახალისების, მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ან მათი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ;

ქ) წარმოადგენს რედაქციას დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია რედაქციაზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ღ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შუამდგომლობს რედაქციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

ყ) ახორციელებს ამ დებულებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4. რედაქციის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია: რედაქტორი და მთავარი სპეციალისტი.

მუხლი 4. რედაქციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

რედაქციის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.